

სიტუაციის განხილვა - მომხმარებლის უფლებები

გაეცანით სიტუაციას და იმსჯელეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებზე:

სიტუაცია:

მანანამ საბანკო განვადებით 1200 ლარიანი მობილური ტელეფონის შეძენა გადაწყვიტა. პირობების გასაცნობად ერთ-ერთ ბანკს მიმართა, სადაც მიაწოდეს ინფორმაცია, რომ განვადება 3%-ში, ხოლო, დაფარვის ვადა, 12 თვე იყო. მანანა ტელეფონის ყიდვას ისე ჩქარობდა, რომ განვადების ხელშეკრულებას წაუკითხავად მოაწერა ხელი და სახლში კმაყოფილი დაბრუნდა.

განვადების ხელშეკრულებაში მანანამ მხოლოდ გადახდის თარიღის დადგომისას ჩაიხედა და აღმოაჩინა, რომ 3% განვადების ნომინალური საპროცენტო განაკვეთი იყო, ხოლო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 13.14%-ს შეადგენდა, რაც მის მოლოდინს თითქმის 10%-ით აღემატებოდა. ხელშეკრულების თავსართში სხვა ფინანსური ხარჯებიც იყო მითითებული: განვადების გაცემის საკომისიო 50 ლარი და ყოველთვიური მომსახურების საკომისიო 1 ლარი. აღშფოთებულმა მანანამ ბანკში დარეკა და პრეტენზია გამოთქვა, რომ განვადების გაფორმებისას ეს ინფორმაცია მისთვის არავის მიუწოდებია. ოპერატორმა უპასუხა, რომ ბანკი მას ვერაფრით დაეხმარებოდა, რადგან ყველა ეს პირობა ხელშეკრულებაში იყო გაწერილი და მან ამ ხელშეკრულებას ხელი უკვე მოაწერა, ხოლო თუ პრეტენზიის დაფიქსირება მაინც სურდა, მაშინ, განცხადების დასაწერად ბანკის სათაო ოფისში უნდა მისულიყო.

ბანკის სათაო ოფისში მისვლა მანანას დაეზარა და განვადების გადახდა განაგრძო.

კითხვები სასჯალოდ:

ჰქონდა თუ არა ბანკის მხრიდან ადგილი მომხმარებლის უფლებების დარღვევას? თუ კი, დაასახელეთ და დაასაბუთეთ.

ჩამოთვალეთ, რისი უფლება ჰქონდა მანანას, როგორც საფინანსო სექტორის მომხმარებელს.

თქვენი აზრით, პასუხისმგებლობით მოიქცა თუ არა მანანა? დაასაბუთეთ.

სხვა რისი გაკეთება შეეძლო მანანას?

სიუჟეტის განხილვა - მომხმარებლის უფლებები

Blank area for content.